პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 114 (13806) | ოთხშაბათი, 17 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 16 მაისს მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფანფანი და ესაუბრა მას აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი

16 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფანფანი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით, და ესაუბრა მას. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. ს. რიეფოვი და იტალიის ელჩი სსრ კავშირში ფ. სენნი.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. (საკდესი).

გამოცდილების გასაზიარებლად

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მოწვევით 16 მაისს ვარშავაში გაემგზავრა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. ნაუიალისი, ვიტებსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ე. რუბისი, ტულის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ა. ვ. შალინი, დონეცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ვ. ი. კოლდობა, ყარაკალპაეთის სსრ ნუკუსის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. პალვანოვი, ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ა. მასლენიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ა. კოზლოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგე ნ. გ. სტაროვოიტოვი, ჟურნალის „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია“ მთავარი რედაქტორი მ. ფ. სტრეპუხოვი.

პოლონეთში ორი კვირის ყოფნის დროს დელეგაცია პოლონელ ამხანაგებს გაუზიარებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გამოცდილებას.

(საკდესი).

ᲮᲐᲜᲓᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 მაისი. (საკდესი). დღეს კრემლის თეატრში გაიხსნა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობა. ამ დღეებში წითელი ჯვრის ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში აღნიშნავს დაარსების ასი წლისთავს.

ყრილობის სტუმრებს შორის არიან საერთაშორისო წითელი ჯვრის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ა. ლომერიკი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გ. ბორდიე, წითელი ჯვრის საზოგადოებათა მსოფლიო ფედერაციის (ლიგის) გენერალური მდივანი გ. ბეერი, საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის წითელი ჯვრის ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგშია ანგარიში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის აღმასკომის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის ანგარიში 1963-1966 წლების მუშაობის შესახებ და აღმასკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲣᲠᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲐᲛ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. ᲛᲑᲣᲠᲚᲐᲕᲔᲑᲘ Ტ. ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲓᲐ Ვ. ᲘᲛᲜᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ-ᲮᲐᲘᲨᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐᲡᲘᲡ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ რაიონის მხვნელ-მთესველებმა, როგორც აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოზაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ იაკობიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა იაკობაშვილმა, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, პირობა გაანაღდეს. 10 მაისისათვის დათესეს 4.828 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები ნაცვლად 4.780 ჰექტარისა.

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲕᲢᲝᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის საავტო დარბაზში თავი მოიყარეს საწარმოს მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა. ბევრია სტუმარი. ისინი მოსალოცად მოვედნენ აქ. მოსალოცი კი ნამდვილად არის. ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

ქარხნის საერთო კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. პირტახიამ. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ. საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი. მან ავტომშენებელთა კოლექტივს მიულოცა დამსახურებული გამარჯვება და უსურვა შემდგომ წარმატებანი შრომაში. მინისტრმა დამსწრეთა ტაშის გრიალში წითელი დროშა გადასცა ქარხნის დირექტორს ს. სარიშვილს.

სიტყვებით გამოსულებმა — ქარხნის დირექტორმა ს. სარიშვილმა, ამწყობი საამქროს ზეინკალმა ს. სამხარაძე, საინსტრუმენტო საამქროს უფროსმა ა. ჯელაძემ, სამოტორო საამქროს ოსტატმა გ. კიკნაძემ, ელექტროშემდუღებე ლმა ვ. დემჩენკომ ილაპარაკეს ქარხნის შრომითს წარმატებებზე, მომავალ გეგმებსა და ამოცანებზე.

ქარხნის კოლექტივს წარმატება მიულოცა პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. აბუთიძემ, რომელმაც რწმენა გამოთქვა, რომ რაიონის უძველესი საწარმო კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნება.

ქარხნის პარტბიუროს მდივანმა რ. ნიკურაძემ კრებას გააცნო სიიუბილეო თარიღისათვის ნაკისრი დამატებითი ვალდებულებანი, რომლებიც საერთო კრებამ ერთხმად მოიწონა.

ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲕᲢᲝᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ცხიმების კომბინატმა ახლებურად დაგეგმვიხა და ეკონომიური სტიმულირების პირობებში დიდ წარმატებებს მიაღწია. კომბინატის კოლექტივი, რომელმაც საიუბილეო წელს გაზრდილი ვალდებულებები იკისრა, გადაჭარბებით ანაღდებს მათ.

პირველი კვარტალის მაჩვენებლებით თბილისის ცხიმების კომბინატს სსრ კავშირის კვების მრეწველობის საწარმოებს შორის გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

წარმატებით იშრომეს კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა გასულ თვეში; საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 101,7 პროცენტით, სახაჭონლო წარმოებისა — 102,2 პროცენტით, მარგარინისა — 100,5 ზეთის ჩამოსხმისა — 107,8 პროცენტით. რეალიზაციის გეგმა განაღდებულია 123,5 პროცენტით. კარგი მაჩვენებლებით დაიწყო მაისიც. კომბინატის კოლექტივს დადაწყვეტილი აქვს წლიური გეგმა 28 დეკემბრისათვის შესრულოს.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲕᲔᲮᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲕᲔᲐᲯᲐᲜᲐᲕᲔ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს. ფოთელებმა პირველი კვარტალის სამუშაოთა გეგმა 116,9 პროცენტით შეასრულეს. აქ მნიშვნელოვნად გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი, მოძრავდნენ ქალაქში კარგი სპეციალისტები, გაიზარდა მომსახურების რიცხვი, გუმჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და შემცირდა მათი ღირებულება.

მეორე ადგილები მიენიჭათ თბილფოტოს, ქალაქ თბილისის აბანო-სამრეცხაოთა ტრესტისა და აბაშის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივებს.

აღინიშნა აგრეთვე ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კოლექტივებისა და გუდაუთისა და საგარეჯოს რაიონების საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკთა კარგი მუშაობა. (საქდესი).

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ოთხ დღეს იყო პოლონეთის პარტიული დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილის ჰენრიხ გარბოვსკის მეთაურობით. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციის წევრებმა თბილისში დაათვალიერეს ი. გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, იყვნენ გორის რაიონში, შუალო სკოლის მუშაობას. პოლონელი მეგობრები იყვნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანებში.

პოლონეთის პარტიული დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ. საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგის მოადგილე ნ. გურგენიძე.

16 მაისს დელეგაცია ვოლგოგრადს გაემგზავრა. (საქდესი).

„ᲡᲝᲙᲝᲚᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ინდუსტრიის უახლესი ტექნიკა, კაფეების, რესტორნებისა და სასურსათო მაღაზიების ავტომატიზებული მოწყობილობა, უამრავი მესაფუთი და სატრანსპორტო მანქანა ექსპონირებულია საერთაშორისო გამოფენაზე „ინპროდმაშ-67“, რომელიც 16 მაისს გაიხსნა მოსკოვის „სოკოლნიკის“ პარკში. გამოფენაში მონაწილეობს 22 ქვეყანა, ათასამდე ფირმა.

სსრ კავშირის ექსპოზიცია, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია გამოფენაზე, განლაგებულია სამ პავილიონში და ღია მოედნებზე. სიახლენი გამოაფინა 140-ზე მეტმა საწარმომ და ორგანიზაციამ.

ბევრი ორიგინალური ტექნიკაა ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ფინეთის, საფრანგეთისა და შვეიცარიის პავილიონებში.

გამოფენის გახსნის ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა. (საკდესის კორ.).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Რ. Გ. ᲚᲔᲘᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. რობერტ გიორგის-ძე ლეიანშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲙᲝᲬᲝᲕᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Შ. ᲙᲐᲞᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 16 მაისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Მ. Რ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ გერასიმეს-ძე ჩიქოვანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲙᲝᲬᲝᲕᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Შ. ᲙᲐᲞᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 16 მაისი.

ᲒᲣᲚᲗᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. (საკდესი). აქ მიმდინარეობს ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის VIII ყრილობა, რომელმაც 15 მაისს მიიღო მისასალმებელი მიმართვა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხებისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეასთან დაკავშირებით. ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავია, ნათქვამია მიმართვაში, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე. იგი გადამწყვეტი ფაქტორი იყო იმაში, რომ ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია დამოუკიდებლობას.

საბჭოთა კავშირის დიდმა წვლილმა ფაშიზმის განადგურებაში შექმნა წანამძღვრები სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობისა და ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, საზეგაშლილია მიმართვაში. ყრილობის მონაწილეები საბჭოთა ხალხს უსურვებენ შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს შრომაში, მშვიდობიან პოლიტიკაში.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 16 მაისი. (საკდესი). ურთიერთობის მკვეთრი გამწვავება, ერთის მხრივ ისრაელსა, და მეორეს მხრივ სირიასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის, კაიროს დღევანდელი გაზეთების ძირითადი თემაა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამოცხადებულია საგანგებო წესები, ჯარები საბრძოლოდ არიან გამზადებული.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ აბდელ ჰაკიმ ამერმა გუშინ თათბირი გამართა სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბ-ბინაში. გრძელდება უმაღლეს სარდლობათა კონტაქტები კაიროსა და დამასკოში, სადაც ამჟამად არის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსი მუჰამედ ფაზი.

ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ „ᲤᲐᲜᲢᲝᲛᲘ“

ᲯᲐᲜᲝᲘ, 16 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საჰაერო ბრძოლაში ვიეტნამელმა მფრინავებმა 12 მაისს ჩამოაგდეს „ფანტომის“ ტიპის ამერიკული თვითმფრინავი.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი პოლკოვნიკი ნორმან გედისი დაიღუპა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ქალაქი ზუგდიდი ზუგდიდის რაიონს და გარდაიქმნას საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ᲙᲝᲬᲝᲕᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Შ. ᲙᲐᲞᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 16 მაისი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ ქალაქი ზუგდიდი გამოეყო ზუგდიდის რაიონს და იგი გარდაიქმნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის შექმნის შესახებ და დაამტკიცა საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ა. ე. ჭითანავა (თავმჯდომარე), ა. შ. დემურია და ა. ი. მეუნარგია.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲘᲦᲔᲑᲡ

15 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლის უზარმაზარ დარბაზში შეიკრიბნენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აქტივისტები. ისინი შეიკრიბნენ ლენინის ორდენის საზეიმო გადაცემაზე, რომლითაც საზოგადოება დაჯილდოდა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისათვის დახმარების გაწევაში დიდი დამსახურების, მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო და დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით.

საზეიმო კრების მონაწილეებმა აირჩიეს სპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს პ. ნ. დემიჩევს. მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა წითელი ჯვრის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში პ. ნ. დემიჩევმა ორდენი დროშას მიაბნია.

შემდეგ პ. ნ. დემიჩევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის, მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის VI ყრილობად საკავშირო ყრილობის მონაწილეებისადმი.

საზეიმო კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მისასალმებელ წერილს. კავშირის 70 მილიონი წევრის სახელით კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ა. მიტერევმა მადლობა გადაუხადა პარტიასა და საბჭოთა მთავრობას წითელი ჯვრის აქტივისტთა ჰუმანური შრომის მაღალი შეფასებისათვის.

საზეიმო კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემეხტიევამ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ი. მ. ვლადიჩენკომ, საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. ვ. ტროიანმა.

ოთხს წლებში წითელი ჯვრის აქტივისტი ნ. ვ. ტროიანი მონაწილეობდა ბელორუს პარტიზანთა საბრძოლო მოქმედებაში. რომლებიც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციების სახელით იუბილარს — სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირს მიესალმა წითელი ჯვრის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და მისი მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი ანელია ლიმერიკი. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ.

Ა. ᲜᲝᲕᲝᲢᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲝᲛᲡᲙᲕᲐ, 16 მაისი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება კანადაში, გამართა პრეს-კონფერენცია, მან აღნიშნა, რომ წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის და შეეხო უველაზე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

საჭიროა აღიკვეთოს ვიეტნამის კონფლიქტი და შეწყდეს ამერიკის საომარი ოპერაციების ესკალაცია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, განაცხადა პრეზიდენტმა. მან თქვა, რომ ამ საკითხს დიდი უყურადღება დაეთმო მოლაპარაკებაში, რომელსაც აწარმოებდა კანადის პრემიერ-მინისტრ ლ. პირსონთან.

„ჩეხოსლოვაკია სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განაგრძოს ეს მხარდაჭერა“, ხაზი გაუსვა ა. ნოვოტნიმ.

შემდეგ ა. ნოვოტნიმ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია დაინტერესებულია გადაეჭრას საკითხები, რომლებიც ევროპის უშიშროებას ეხება.

უდავოა, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, რომ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა ხელს შეუწყობდა ატმოსფეროს გაჯანსაღებას ევროპაში. ამ საკითხის გადაჭრას საფუძვლად უნდა დაედოს ის, რომ ცნონ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ჯერ კიდევ არ ხურს ცნოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები, მათ შორის ევროპაში ამყარდა არსებული საზღვრები, არ არის თანახმა ხელი აიღოს მიუნხენის დიქტატზე და ცნოს, რომ იგი თავდანვე ბათილია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ვერავითარი კონკრეტული მოქმედებით ვერ დაგვარწმუნა, რომ მზად არის ხელი აიღოს რევანშისტულ დოგმებზე და დაიცვას ევროპის მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების ინტერესები.

ᲜᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ ᲙᲐᲜᲐᲚᲐᲨᲘ

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ, 16 მაისი. (საკდესი). კანადაში საგანგებოდ ჩამ

სახელოვანი ტრადიციები გრძელდება

როგორც კი ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივმა ბელადის ავადმყოფობის გაუმჯობესების ამბავი შეიტყო, 1923 წლის 25 ივნისს სპეციალური წერილი გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

„ძვირფასო ილიჩ!

...შენი სახელი, როგორც გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი, გამოგვიყვანს სამეურნეო ფრონტის გამარჯვებათა გზაზე.

ილიჩ, ჩვენ შენთან ვართ! ბისურვებთ ჯანმრთელობას. ნუ ავადმყოფობ! ამას მოითხოვს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები“.

ავჭალის შუშის ქარხანა, 1922 წლიდან ატარებს დიდი ლენინის სახელს. მაშინ ეს ქარხანა ქიმიური მრეწველობის ერთადერთი საწარმო იყო ჩვენს რესპუბლიკაში. როგორ გაიზარდა, დაკაკცდა იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში! ამჟამად აქ ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია ადამიანის ხელის მიუკარებლად სრულდება. მარტო ერთი შუშის საყალიბო მანქანა დღეში უშვებს იმდენ ბოთლს, რამდენსაც 1923 წელს მთელი ქარხანა ერთ კვირაში უშვებდა. ახლა იგი ერთ-ერთი პირველი კომუნისტური შრომის საწარმოა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. და განა მარტო ეს. ლენინის რაიონი ახლა მსხვილი სამრეწველო რაიონია, სადაც თავმოყრილია მრავალი საწარმო — თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკები და ქარხნები.

დიდი ბელადის სახელთან არის დაკავშირებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ყველა ჩვენი გამარჯვება, წინსვლა, ნათელი მომავალი.

რით გავხაროთ სამშობლო საიუბილეო წელს. უკეთ როგორ აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნის იუბილე? ამაზე ფიქრობენ დღეს თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მშრომელები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, თვითეული საბჭოთა ადამიანი.

ყოველივე საუკეთესოს, რასაც კი ახლა ქმნიან, რაიონის მშრომელები მთელ თავიანთ შრომითს წარმატებებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს უძღვნიან. ყველა საწარმო-დაწესებულებაში მასების შემოქმედებითი ენერგიის არაჩვეულებრივი, უმაგალითო აღმავლობაა.

ლენინის რაიონში ასობით არიან ადამიანები, რომლებმაც დაუვიწყარ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში იერიში მიიტანეს ძველ სამყაროზე, ლენინის პარტიის მოწოდებით სოციალისტური რევოლუციის დიადი დროშა აღმართეს საქართველოს მიწაზე.

საქვეყნოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის უძველესი მუშათა რაიონის—ლენინის რაიონის სახელოვანი რევოლუციური წარსული. აქ კანონიერ სიამაყეს და სიხარულს განიცდიან მშრომელები. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, ერთგული მარქსიზმ-ლენინელების მეთაურობით რაიონის პროლეტარიატმა ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ყოფილი ნაძალადევის რკინიგზის სახელოსნოებში მოღვაწეობდნენ ი. ბ. სტალინი, მ. ი. კალინინი, დიდი რუსი მწერალი, ცნობილი საბჭოთა კლასიკოსი ა. მ. გორკი. ამ საწარმოში აღიზარდა, რევოლუციური წრთობა მიიღო ასობით ადამიანმა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს ნათელ მომავალს.

ნაძალადევის მუშათა უბნის სახელოვანი წარსული, მისი მდიდარი რევოლუციური ტრადიციები საუკეთესო საშუალებაა მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდისათვის.

პარტიის ლენინის რაიკომი დიდი საიუბილეო თარიღისათვის მზადებას ჯერ კიდევ შარშან შეუდგა. როგორც კი გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ, პარტიის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა იუბილეისათვის მზადების კონკრეტული გეგმა. მზადების თავიანთი გეგმები აქვთ აგრეთვე ყველა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს.

და ახლა, ოქტომბრის 50 წლისთავის წინ, თავიანთი შესანიშნავი ტრადიციების ერთგული ლენინის რაიონის მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, იჩენენ ახალ-ახალ ინიციატივას, დღითიდღე ამრავლებენ შრომითს წარმატებებს: ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან თბილისის 26 კომისრის რაიონისა და მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს ნარიმანოვის რაიონის მშრომელებთან.

— შრომით ვადიდოთ ოქტომბერი! — ასეთი პატრიოტული დევიზით მუშაობს ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ათი თვის გეგმა 28 ოქტომბრისათვის უნდა შეასრულონ, გეგმის გადაჭარბებით ასიათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვან, საუბილეო დღისათვის სამშობლოს გეგმის ზევით მისცენ ახალი ტიპის ელმავლები. ამასთან დაზოგონ 150 ტონა შავი და 10 ტონა ფერადი ლითონი, 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 700 ტონა პირობითი სათბობი.

ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში წინა ხაზზე კვლავ კომუნისტები არიან. შემოქმედებითი შრომის ნამდვილ მაგალითებს იძლევიან ამწყობ ზენიკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის თავკაცი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა დეპუტატი გ. ჩადუნელი, ამწყობ ზენიკალთა კომუნისტური ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვ. პაპიაშვილი და სხვა მოწინავე ადამიანები.

და აი მეელმავლეებმა თავდადებული შრომის პირველი ნაყოფიც მოიმკეს. წელს პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ხაზზე გაუშვეს მაგისტრალური ელმავლები, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით გაზარდეს...

სადღესასწაულო სახალხო ლაშქრობაში დაწინაურდა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ამ დღეებში წარმოების მაღალი კულტურისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. აქაურმა კომუნისტებმა, შრომელებმა სიტყვა სქმით შეამეკვს. მარტო დაზოგილი ლითონითა და მასალებით გეგმის ზევით 168 მოდელის 15 ჩარხი გამოუშვეს. სულ ხუთწლეული დამდეგიდან აქ გეგმის ზევით გამოშვებულია 42 ჩარხი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მისი ყოველმხრივ გაუმჯობესება პარტიის რაიონული კომიტეტის, საწარმოთა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. რაიონში გამოშვებული ახალი ტიპის მანქანები თავისი ტექნიკური მონაცემებით მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება მცირეგაბარიტიანი პიანინო, სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი, მაღალხარისხოვანი ქართული ბისერი და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

სადღესასწაულოდ ელმავალმშენებლებმა კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს: ათი თვის გეგმა 28 ოქტომბრისათვის უნდა შეასრულონ, გეგმის გადაჭარბებით ასიათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვან, საუბილეო დღისათვის სამშობლოს გეგმის ზევით მისცენ ახალი ტიპის ელმავლები. ამასთან დაზოგონ 150 ტონა შავი და 10 ტონა ფერადი ლითონი, 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 700 ტონა პირობითი სათბობი.

ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში წინა ხაზზე კვლავ კომუნისტები არიან. შემოქმედებითი შრომის ნამდვილ მაგალითებს იძლევიან ამწყობ ზენიკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის თავკაცი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა დეპუტატი გ. ჩადუნელი, ამწყობ ზენიკალთა კომუნისტური ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ვ. პაპიაშვილი და სხვა მოწინავე ადამიანები.

და აი მეელმავლეებმა თავდადებული შრომის პირველი ნაყოფიც მოიმკეს. წელს პირველი კვარტალის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ხაზზე გაუშვეს მაგისტრალური ელმავლები, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით გაზარდეს...

სადღესასწაულო სახალხო ლაშქრობაში დაწინაურდა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ამ დღეებში წარმოების მაღალი კულტურისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. აქაურმა კომუნისტებმა, შრომელებმა სიტყვა სქმით შეამეკვს. მარტო დაზოგილი ლითონითა და მასალებით გეგმის ზევით 168 მოდელის 15 ჩარხი გამოუშვეს. სულ ხუთწლეული დამდეგიდან აქ გეგმის ზევით გამოშვებულია 42 ჩარხი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. მისი ყოველმხრივ გაუმჯობესება პარტიის რაიონული კომიტეტის, საწარმოთა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. რაიონში გამოშვებული ახალი ტიპის მანქანები თავისი ტექნიკური მონაცემებით მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება მცირეგაბარიტიანი პიანინო, სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი, მაღალხარისხოვანი ქართული

ზაპოროჟიე—რუსთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ რუსთავში ზაპოროჟიელი სტუმრები. ლენინის ორდენოსან „ამიერკავკასიის მეტალურგმშენისა“ და „ზაპოროჟმეტალურგსტროის“ ტრესტების კოლექტივებს შორის უკვე საკმაო ხანია დამყარდა მეგობრული ურთიერთობა.

სტუმრებს შორის არიან „ზაპორჟმეტალურგსტროის“ პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. ზინჩენკო, „პრომსტროის“ მთავარი ინჟინერი მ. ენინი. ბრიგადირი, უკრაინის სსრ დამსახურებული მშენებელი პ. კოროლენკი, „სტალკონსტრუქციის“ სამმართველოს უფროსი გ. დრაპკინი და სხვები.

ზაპოროჟიელი სტუმრები მიიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ. „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის მმართველი ზ. ჯაფარიძე ესაუბრა მათ მშენებელთა მომავალ გეგმებზე.

ორიოდე დღის წინათ ქართველმა და უკრაინელმა მშენებლებმა შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ წარმატებით შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტები, ბოლოს გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის მიზანია ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

მთასა და ზღვას შუა...

ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობა ჯერ არ ახსოვს ჩვენს სახელოვან რესპუბლიკას.

ენგურჰესი იწყება წალენჯიხის რაიონის მთის დიბა ჯვარს ზემოთ და თავდება გალის რაიონის ზღვისპირა სოფელ გუდავასთან.

მთასა და ზღვას შუა გაშლილ მშენებლობაზე რვა ათასი კაცი მუშაობს. ხვალ და ზეგ ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

უმთავრესად ახალგაზრდა მშენებელთა რაზმები აგებენ ენგურჰესს. ეს იმიტომ, რომ მშენებლობის შეფია საქართველოს კომკავშირი.

გაჩნდა ახალი დასახლებები: ჯვარზენი, ფოცხო-ეწერი, ოლორი, ტებენა, ერისწყალი, საბერიო, რეჩხი და სხვები, სადაც ათეულ ათასობით კაცი ცხოვრობს. აშენდა სკოლები, საბავშვო ბაღები, კლუბები, სასადილოები, საავადმყოფოები... რამდენიმე წელიც, და შუაგი ენგური ადამიანის კეთილ სამსახურში ჩადგება. მაინც როგორი იქნება ეს ჰიდროელექტროსადგური?

ენგურჰესზე წარმოდგენას მოგვცემს რამდენიმე ციფრი:

რესპუბლიკის ამ უდიდესი თაღოვანი ჰიდროელექტროსადგურის სიმაღლეზე მილიონ ექვსასი ათასი კილოვატი. საშუალო წლიური გამომუშავება მიაღწევს ხუთნახევარ მილიარდ კილოვატ-საათს.

ენგურჰესის პირველი რიგი ამუშავდება 1970 წელს და მაშინ ქვეყანას მისცემს 630.000 კილოვატ ელექტროენერგიას.

ახლა თვით მშენებლობის შესახებ.

მთის მდინარეზე დიდი და პირველი გამარჯვება მოპოვებულ იქნა შარშან, იანვრის დამლევს, როცა გადახიდეს და სამშენებლო გვირაბში გადააგდეს ბობოქარი ენგური.

მიუხედავად ამ თვალსაჩინო წარმატებისა, ენგურჰესის მშენებლები ვერ იამაყებენ გასული წლის მიჩვენებლებით. გეგმა არ შესრულებულა.

საერთო მდგომარეობის მიხედვით ყველაზე ჩამორჩენილი აღმოჩნდა სწორედ კაშხლის მშენებლობის სამმართველო, ის კოლექტივი, რომელმაც გაგვახარა ენგურის გადახიდვით.

მკითხველს, ცხადია, აინტერესებს მიზეზი: ენგურჰესის მშენებლებს დროზე არ ეძლიოდათ საშენი მასალა — არ იყო ცემენტი, არ ჰქონდათ ფიცარიც კი. ტრანსპორტი კვლავ ვიწრო აღგილს წარმოადგენდა.

არ იყო მთელ რიგ სამუშაოთა (განსაკუთრებით იმ უბანში, სადაც კაშხალი უნდა აღიმართოს) პროექტი: და ცოდვა გამოტეხილი სჯობს, დღესაც, ენგურჰესის მშენებლობის დაწყების მეექვსე წლისთავზე, არ არის ზოგიერთი ფრიად აუცილებელი პროექტი.

წარმატებით დაიწყო 1967 წელი. უსათუოდ იგრძნობა გარდატეხა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო — ენგურჰესი მაღალი მიზანებით უნდა შეხვდეს დიდ იუბილეს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

კაშხალის მშენებლობის სამმართველომ გამოასწორა მდგომარეობა, შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. ქების ღირსი არიან გვირაბგამყვანები, რომლებსაც მეთაურობს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი წულეისკირი. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე ძალოვანი კვანძისა და ვარდნილი ჰესების სამმართველოთა კოლექტივები.

ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანთან ალექსანდრე მეუნარგიასთან ერთად ადგილზე ვეცნობით მუშაობას მთელ ტრასაზე: ჯვარში, ერისწყალში, საბერიოში, რეჩხში და სხვაგან.

ჯვარს ზემოთ გრძელდება თაღოვანი კაშხლის ქვაბულისათვის აუცილებელი. მოსამზადებელი სამუშაოები.

გვირაბების მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი მთელი შესაძლებლობით იბრძვის რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის.

ვსაუბრობთ ძალოვანი კვანძის სამმართველოს უფროსთან აკაკი ცნობილაძესთან.

— 15 მარტს 57 პროცენტით გვქონდა შესრულებული თვის გეგმა, — ამბობს ივი და ასახელებს მოწინავეებს. ყველაზე წინ არის კომუნისტური შრომის უბანი, რომელსაც გიზო კუტუხიძე ხელმძღვანელობს, აგრეთვე უბანი, რომლის უფროსია ზურაბ ვაჩაძე. კარგად იმუშავეს ივანე კოფტუნისა და აღექსი ივანოვის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, აგრეთვე იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გიგი ნადირაძე, იოსებ გელაშვილი, ვლადიმერ მაგალითანოვი და დომენტი ღვინჭილია ხელმძღვანელობენ.

მუშაობა კარგად არის აწყობილი, — განაგრძობს აკაკი ცნობილაძე, — მაღალი ტემპია აღებული საწნეხო და წყალგამყვანი გვირაბების მშენებლობაზე, წარმოებს მზადება მიწისქვეშა ელადგურის ქვაბულის დასამუშავებლად, გრძელდება მდინარე ღალხუმელას ახალ კალაპოტში გადაგდების სამუშაოები.

— მეტი, გაცილებით მეტი გაკეთდება, ხელის შეწყობა რომ იყოს, — აცხადებს სამმართველოს უფროსი. მართალია, ჩვენმა მეხუთე ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულა, მაგრამ სიძნელეები უსათუოდ არის. ჯერ არ მოგვიღია გეგმით პირველი კვარტალისათვის გამოყოფილი მანქანები. გამოვცადეთ და მზად არის ახალი ბეტონის ქარხანა. მზად არის, მაგრამ ვერ ავამუშავეთ. და ეს იმიტომ, რომ ავტომანქანების სიმცირის გამო საწარმომდე ვერ გადაგვიტანია ცემენტი, ქვიშა და ხრეში. ამიტომ იძულებული ვართ გეგმა გვირაბების გამონგრევის ხარჯზე შევასრულოთ, სამაგიეროდ ბეტონის ჩასხმის სამუშაოები თითქმის შეჩერებულია. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მეორე და მესამე კვარტალში მეტისმეტად დაძაბული მუშაობა გვექნება.

კიდევ ერთი საკითხი,—ამბობს ა. ცნობილაძე, — ვერ ვიღებთ გვირაბებისათვის საჭირო აუცილებელ მასალას, რომელსაც უნდა გვაწვდიდეს ტრესტ „საქართველოს ჰიდროენერგოშენის“ დამხმარე საწარმოთა ქუთაისის კომბინატი. ამ კომბინატის დირექტორს გიორგი კალანდარაშვილს არაერთხელ მოუსმენია ენგურჰესის მშენებელთა სამართლიანი სიყვედურები. შედეგი კი არა ჩანს. ისმენს, მაგრამ ზომებს არ იღებს.

ჩვენ დაგვაინტერესა ამ ამბავმა. საყვედური სწორი აღმოჩნდა. ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. გვიშიანი აცხადებს, სამტრედიის რკინიგზის განყოფილებას, რომელშიც ქუთაისის სადგური შედის, დავალებული აქვს ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატს ყოველდღიურად 5 ვაგონი გამოუყოს, მაგრამ აძლევს ერთს ან ორს, ხან კი სულ არა. ამის გამო, ბუნებრივია, იქმნება დიდი შეფერხებები მასალების მოწოდების საქმეში, რის გამოც გეგმის შესრულება ყოველთვის საფრთხის წინაშეა.

სერიოზული ვალდებულება იკისრა ბარდნალი ჰესების მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა. ისინი წელს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში გადახიდავენ და სამშენებელი გვირაბში გადაადგებენ მდინარე ერისწყალს, შეუდგებიან მიწის „კაშხლის მშენებლობას. აქ პირველი კვარტალის გეგმა წარმატებით შესრულდა.

მაგრამ აქაც გაისმის სამართლიანი საყვედურები. აკლიათ თვითსაცლელები, არ ეძლევათ საჭირო საშენი მასალა.

ჯერ კიდევ შარშან მეოთხე კვარტალში გალში საექსპლოატაციოდ უნდა გადაცემულიყო 44-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ეს სახლი დღესაც არ არის მზად ხის მასალისა და რკინის არმატურის უქონლობის გამო.

...მეტისმეტად აღელვებულია საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჟორჟოლაძე. მან ფანჯარასთან მიგვიყვანა, გაგვიხედა და თქვა: — შეხედეთ, რა კარგი ამინდია. სითბო მოუტანია გაზაფხულს, ადამიანს შრომისაკენ მოუბმობს. ჩვენს წინაშეც ბევრი დადუდებელი საქმეა. ენგურჰესის მშენებლობაზე დაპროექტებულია 284 კილომეტრი გზა, მაგრამ გაყვანილია 124 კილომეტრი. და ასეთ დროს, როცა განგაშს უნდა ვატეხდეთ, განიარაღებული ვართ, თითქმის არც ერთ ტრასაზე დღეს არ ვმუშაობთ. რატომ? მანქანები არ გამოგვიყვანს!...

ენგურჰესის მშენებლობის ავტოტრანსპორტის განყოფილების უფროსი დ. გაგოშიძე აცხადებს, რომ საგზაო მშენებლობის სამმართველოს მართლაც აკლია თვითსაცლელი მანქანები. აქ ყოველდღიურად დამატებით 8-10 მანქანა მაინც არის საჭიროო. მაგრამ მარტო ალიარება საქმეს უშველის. რატომ უფრო ქმედი ღონისძიებას არ იღებს ამხ. დ. გაგოშიძე?!

უბნებში მშენებლებთან შეხვედრისას, როცა ისინი სამართლიან პრეტენზიებს აცხადებენ მოუგვარებელი საკითხების გამო აქა-იქ ასეთი საყვედურიც გაისმის:

— რატომ უფრო არა ჩანს ტრესტ „საქართველოს ჰიდროენერგოშენის“ ხელი?! სად არის მისი ოპერატიულობა, საქმიანი, რეალური დაბრძანება?

ენგურჰესის მშენებლობაზე სიიუბილეო წელს 36 მილიონ 600.000 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს. საოქტომბრო ვახტზე მდგომი მშენებელები კისრულობენ 7 ნოემბრისათვის შეასრულონ 11 თვის გეგმა.

ამიტომ მთასა და ზღვას შუა გაშლილი ეს დიდი მშენებლობა მეტ ყურადღებას, მეტ ოპერატიულ ხელმძღვანელობას მოითხოვს.

შ. შენგელი,
გ. ნოდია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ენგურჰესის გვირაბმშენის სამმართველოს მეოთხე უბნის გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადა. მარჯვნიდან — ო. ბობოხიძე (ბრიგადირი), მ. ჯაფარიძე, ტ. ბოხუა და რ. გულუა.

ფოტო ა. ეუფუნიასი.

ენგურჰესის მშენებლებთან

3.000 მექანიზატორი—სოფელს

წულუკიძე. (საკ. კორ.). ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში შეხვდებით ახლა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს. ისინი მუშაობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადების ხელმძღვანელებად, მექანიკოსებად, სარემონტო სახელოსნოების გამგეებად, ელექტროტექნიკოსებად.

თავისი არსებობის მანძილზე ტექნიკუმმა 3.000 კვალიფიციური სპეციალისტი მისცა სოფლის მეურნეობას. ახლა სტაციონარულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე 1.200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ამას წინათ ტექნიკუმი ახალ 3-სართულიან სასწავლო კორპუსში გადავიდა.

სულ უფრო მტკიცდება ტექნიკუმის სასწავლო-მატერიალური ბაზა. სამანქანო პარკშია სხვადასხვა მარკის 7 ტრაქტორი, 4 ავტომანქანა, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, 2 კომბაინი და სხვა იარაღ-მანქანები. ტექნიკუმის სასწავლო ნაკვეთი 30 ჰექტარს აღემატება.

• ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ •

განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ შუშაკთა პრემირების შესახებ

რედაქციაში მოსული წერილების ავტორები გვთხოვენ ვუამბოთ განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა პრემირების წესის შესახებ. ქვემოთ მოგვყავს პასუხი.

1967 წლის აპრილიდან შემოღებულია პრემირება, აგრეთვე წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით დაჯილდოება დაგეგმვისა და ეკონომიკის სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განთავისუფლებული პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისა. წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით პრემიებისა და ჯილდოს გაცემა წარმოებს მატერიალური ზახალისების ფონდიდან საწარმოთა ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მომსახურეებისათვის დადგენილი წესითა და ოდენობით.

იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე არ არიან გადაყვანილნი, სანამ ისინი გადაყვანილ იქნებიან ახალ სისტემაზე, განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა პრემირება ხდება ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთათვის დაწესებულ პრემირების დებულებათა მიხედვით, ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების (თვითღირებულების შემცირება, წარმოების ან რეალიზაციის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ზეგეგმითი მოგების მიღება, ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ) შესრულებისათვის.

ნებადართულია კოლმეურნეობების განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა პრემირება მეურნეობის ძირითადი საქმიანობის შედეგებისათვის იმ პირობებით, რომლებიც კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის არის დაწესებული.

დადგენილია, რომ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების მიერ სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფულადი პრემიების მიღებისას განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს პრემიები ეძლევათ ამ კოლექტივების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან და მოსამსახურეებთან ერთად.

დატოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით გათვალისწინებული პრემირება განთავისუფლებული პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისა ახალი ტექნიკის შექმნასა და დანერგვაში აქტიური ხელშეწყობისათვის.

განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა პრემირება ხდება პარტიის რაიკომების გადაწყვეტილებებით, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არა აქვთ, საქალაქო კომიტეტების გადაწყვეტილებებით. პრემიების გაცემა ხდება საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ამ მიზნებისათვის განკუთვნილი სახსრებიდან.

„პარტიინაია ჟიზნ“, № 8.

ᲪᲘᲪᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲢᲧᲘᲡ ᲬᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲐᲯᲝᲑᲔᲜ ᲒᲐᲚ-ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲡ



ᲪᲐᲛᲓᲔ აზიდულ თრიალეთის ქედის მწვერვალებს ტყეისფერი, სქელი ნისლი დასწოლია. მთათა ფერდობებზე მხრებგაშლილ ნაძვებსა და ფიჭვებს შორის აქა-იქ ტანმაღალი რცხილები თუ წიფლები მოჩანან.

ახე მგონია სწორედ იმ ნაძვების და ფიჭვების წყალობა უნდა იყოს, რომ ქვიშეთი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი შესანიშნავი დასასვენებელი ადგილია.

დასაბამიდან ცნობილია, სადაც ცოცხალი ხეა, იქ ყველაფერი უხვი და დეგრძელია, თვითონ მიწა კი ყოველთვის ლაზათიანია და ნაყოფიერი. გაიხსენეთ თუნდაც ლერმონტოვის „სამი პალმა“, იქ კარგად არის დახატული ცოცხალი ხის ძალა... — ვიდრე იმ უდაბნოში სამი პალმა შრიალებდა, მთა შორიახლო უხვად ამოჩუხჩუხებდა აწკარა წყარო, ისმოდა ფრინველთა გალობა... მაგრამ, როცა ერთხელ პალმებთან ღამის გასათევად ქარავანი დაბინავდა, მექარავნეებმა მოჭრეს სამივე პალმა და მთელი ღამე ცეცხლს აგიზგიზებდნენ. გაიარა დრომ, და დაიკარგა წყაროო ანკარა...

ამ ამბის გაუხსენებლადაც ფაქტის წინაშე ვართ. რამდენ სილამაზესა და შნოს მატებს ამ მოახფალტებულ ფართო შარაგზას ეს ფიჭვები, ორივე მხარეზე კიკლუცად რომ ჩამწკრივებულან. ათიოდე წლის შემდეგ, როცა ეს ხეები უფრო დამსხვილდებიან, დაიბუჩქებიან და ერთმეორეს „ხელებს გადახვევენ“ მაშინ ამ გზაზე არასოდეს არ დაზამთრდება. ამ გზის მონაკვეთზე, ქვიშეხეთიდან ხაშურამდე, წელიწადის ყოველ დროს გაზაფხული იქნება.

გზადაგზა დავათვალიერეთ ხაშურის სატყეო მეურნეობის მიერ გაშენებული ქარსაცავი ზოლები. ერთი მათგანი კოდისწყაროსთან იწყება და სოფელ ბეკამთან მთავრდება. მისი სიგრძე ექვსი კილომეტრია. მეორე კი სოფელ ხცისიდან იწყება და ალის საბჭოთა მეურნეობას გასცდენია. ქარსაცავი ზოლები თვითეული ოცმწკრივიანია. ტანი აუყრიათ კანადურ და პირამიდულ ვერხვებს, ჭადრებს და ფიჭვებს, პანტას თუ იფანს, მათი გახარება 85-90 პროცენტამდე აღწევს.

ყოველივე ეს კარგია, ხაშურის რაიონის მინდვრები ნაწილობრივ დაცულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარებისაგან, რომლებიც აქ არიან გაბატონებული, მაგრამ ქ. ხაშურის შემდეგ ძალიან ღარიბია გზა მწვანე ნარგავებით. მხოლოდ აქა-იქ შევხვდით გზის ნაპირებზე დარგულ ფიჭვებს და ფაფარამიდულ ვერხვებს. ისინი იმდენად მცირეა, რომ დაითვლება კიდეც. რაც ცოცხლობს, ისიც მოუვლელობით დაკნინებულია.

თვალს არ დაუჭერი, ვიდრე ახლოს არ მივედი აგარის პირუტყვის გასასუქებელი საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ ბოსელთან, აქ დარგულ ფიჭვებს აღარც ტოტი შერჩენია და აღარც სიცოცხლე, ისინი ახლა ხარებივით არიან დასობილი. რომ იტყვიან — ხეები ზეზეურად კვდებიანო — სწორედ ისეა დანარჩენების საქმეც.

არ მესიამოვნა ამ სურათის ნახვა. 1966 წლიდან გზის ნაპირების გამწვანების საქმე საგზაო-საექსპლოატაციო უბნებს გადაეცა. როდისღა უნდათ მათ გამოაჩინონ სიყვარული თავიანთი საქმისადმი? არც დანარჩენ გზაზე იყო სახარბიელო მდგომარეობა, ვიდრე ბებნისის სანერგე და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებთან მივდიოდით.

მხოლოდ აქ ეტყობა ხეხილის ბაღებსაც და გზის ნაპირებსაც ადამიანის მზრუნველი ხელი, ნაკვეთებში დიდი მოხდომებით არის გაშენებული ქარსაცავი ზოლები. ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბებნისის ბაღებიდან ბებნისის ბაღებამდე ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბებნისის ბაღებიდან ბებნისის ბაღებამდე ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბებნისის ბაღებიდან ბებნისის ბაღებამდე ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბებნისის ბაღებიდან ბებნისის ბაღებამდე ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბებნისის ბაღებიდან ბებნისის

საკრთაშორისო სხოვრება

მეგობრობის სალამო

ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების ოცდამეორე წლისთავს მიეძღვნა სალამო, რომელიც გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. აქ მოვიდნენ საწარმოთა მუშები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

სალამო გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ.

მოხსენება მოძმე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა დოცენტმა ვ. გოგუაძემ. მან აღნიშნა, რომ გასული წლები ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა აღნიშნა შესანიშნავი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში, ეს წარმატებანი ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა მოიპოვა თავისი სახელოვანი და ნაყოფიერი ავანგარდის — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

სალამოზე გამოვიდნენ მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანამეშეწე სოციალისტური შრომის გმირი ვ. ქემგაშვილი, პროფესორი თ. მრეველიშვილი, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტი მ. ჭანუყვაძე, რომლებმაც აღნიშნეს: საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს, რომ განუხრელად მატულობდა და ფართოვდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა და თანამშრომლობა.

სალამოს მონაწილეებმა მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს პრაღაში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ბრატისლავაში — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკეთის კომიტეტს და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. (საქდესი).

პოლიტექნიკური სწავლების მოწყობილობის გამოფენა

ვარშავა. პოლონეთის დედაქალაქში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა, რომელიც პოლიტექნიკურ სწავლებას ეძღვნება. გამოფენაზე წარმოდგენილია მოსკოვის, პრაღის, დრეზდენისა და ვარშავის პოლიტექნიკური მუზეუმების ექსპონატები. საბჭოთა კავშირი გამოფენაზე უჩვენებს პროგრამული სწავლების 23 სხვადასხვა მოწყობილობას. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში

ვაშინგტონი, 16 მაისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გაიშალა ფართო დისკუსია ვიეტნამის ომის გამო. კამათში გამოსულნი თვალსაჩინო ამერიკელი სენატორები აღნიშნავდნენ, თუ რაოდენ საშიშია ომის შემდგომი ესკალაცია, რაოდენ უგუნური და განუხორციელებელია მთავრობის კურსი, მიაღწიოს გამარჯვებას ომში, და სახავდნენ ამ კურსის ალტერნატივას. მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა გააკრიტიკეს როგორც დემოკრატებმა, ისე რესპუბლიკელებმა.

სენატორმა კუპერმა (რესპუბლიკელი, კენტუკის შტატისაგან) მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეზღუდოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, დაბომბოს მხოლოდ მე-17 პარალელის რაიონში „შესასვლელი გზები“. მან განაცხადა, შეიძლება ვიეტნამის კონფლიქტი დიდ ომად გადაიზარდოსო.

კუპერს მხარი დაუჭირა დემოკრატების ლიდერმა სენატში მენსფილდმა. საფრთხე ვიეტნამში არა თუ აშკარაა, არამედ სავსებით რეალურია, თქვა მენსფილდმა, იგი დღითიდღე „სულ უფრო ავბედითი“ ხდება. ისინი, ვინც ამჟამად მთავრობის ახლანდელი სავიეტნამო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის, განაცხადა დემოკრატთა ლიდერმა, ამას იმიტომ შვრებიან, რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ გააფრთხილონ მთავრობა, რომ ვიეტნამის კონფლიქტი შეიძლება მესამე მსოფლიო ომად გადაიზარდოს.

რესპუბლიკელმა სენატორმა აიკენმა განაცხადა, სავსებით ვეთანხმები სენატორ კუპერს, რომ დადგა დრო გადაინიჭოს ომის ესკალაციის ჩაფუშული პოლიტიკაო. აიკენმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ვიეტნამის ომთან დაკავშირებით მთავრობა იძულებული იქნება გაადიდოს გადასახადები არა 6 პროცენტით, როგორც უკვე ითვალისწინებდა მისი წინადადება, არამედ 20 პროცენტით, და დააწესოს აგრეთვე კონტროლი ხელფასსა და ფასებზე.

დემოკრატმა სენატორმა იანგმა (ოჰაიოს შტატისაგან) მოუწოდა მთავრობას დიდი ხნით შეწყვიტოს დაბომბვა. მან შეიტანა წინადადება ასეთი პაუზა დაიწყოს 23 მაისს მორიგ ბუდისტურ დღესასწაულზე და ამრიგად ცხადყოს „ჩვენი კეთილი ნება“. ამჟამად ვიეტნამშია 500.000-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და არა 442.000, როგორც პენტაგონი იუწყება, განაცხადა სენატორმა იანგმა, და გენერალმა უესტმორლენდმა მოითხოვა მისცენ კიდევ 160.000 კაცი. ეს არის, თქვა მან, „ომის ესკალაცია უზარმაზარი მასშტაბით“.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა თქვა, რომ ამ ბოლო დროს ამჩნევს „ნერვიულობის სიმპტომებს, რომელმაც შეიძლება მეზამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანოსო“.

სენატორებმა მენსფილდმა, ფულბრაიტმა, მორზემ გამოთქვეს აზრი, რომ ვიეტნამის კონფლიქტის მოგვარებას უნდა ხელი მოჰკიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

გონიერებისადმი მოწოდებებთან ერთად გაისმის აგრეთვე მოწოდებანი „გასწორონ ყოველგვარი რისკი“, „ბომბიყენონ მთელი საჰაერო სამხედრო ძალიერება“, რათა მიაღწიონ გამარჯვებას ვიეტნამის ომში. ასეთი განცხადებანი გამოაქვეყნეს კვირის დამლევს სენატორებმა ლონგმა (დემოკრატი ლუიზიანის შტატისაგან), სენატორმა ტერმონდმა (რესპუბლიკელი ჩრდილოეთ კაროლინისაგან), წყნარი ოკეანის რაიონში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა შარპმა და სხვა ომის მოტრფიალეებმა.

იძულებითი ლონისძიება

ვაშინგტონი, 15 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა გ. ფაულერმა დღეს წინადადება მისცა კონგრესს კიდევ 29 მილიარდი დოლარით გაადიდონ სახელმწიფო ვალის ზღვარი.

თუ კანონმდებლები მოიწონებენ ამ წინადადებას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 365 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ლანგ სონის პროვინციის ბინ ჟიას სატყეო მეურნეობის ხე-ტყის დამცურებლებმა გასული წლის დავალება 120 პროცენტით შეასრულეს. ხო ში მინის დაბადების დღის (19 მაისის) აღსანიშნავად მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. სურათზე: მორების შეკვრა ტივებად.

ფოტო ვია-საკდესისა.

პატრიოტთა წარმატება

ჰანოი, 15 მაისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ნამბოს რაიონში მოქმედებენ, ბარილის დამლევიდან მაისის დამდეგისათვის ამერიკის და მარიონეტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში დახოცეს და დაჭრეს 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს და დაახიანეს დაახლოებით 50 ტანკი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სააგენტო განთავისუფლებას.

კიდევ ერთი თვითდაწვა

ლონდონი, 16 მაისი. (საკდესი). ნგუენ კაო კის რეჟიმის ანტიხალხური რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დღეს საიგონში თავი დაიწვა 33 წლის მონაზონმა ფან თხი მაიმ.

როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი გვატყობინებს, ეს უკვე მეცამეტე შემთხვევაა, რომ თავს იწვავენ ბუდისტი მონაზონები, რომლებიც ილაშქრებენ სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტის მოქმედების წინააღმდეგ.

ასამართლეგენ კაპიტან ჰ. ლევის

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). ფორტ-ჯეკსონში (სამხრეთ კაროლინის შტატი) სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებს ამერიკის არმიის სამედიცინო სამსახურის კაპიტანს ჰოვარდ ლევის, რომელმაც უარი თქვა გაეწვრთნა სპეციალური სადესანტო ჯარების „მწვანე ბერეტების“ ჯარისკაცები ვიეტნამის ომისათვის. „მწვანე ბერეტები“, განაცხადა ლევმ, — „ვიეტნამელ ქალთა და ბავშვთა მკვლელები“ არიან.

გუშინ სამხედრო ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა მოწმე — სამედიცინო სამსახურის კაპიტანი აივან მაურერი, რომელმაც სამხედრო ჰოსპიტალში შეცვალა სამსახურიდან მოხსნილი ჰოვარდ ლევი.

ბრალმდებელთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მაურერმა თქვა, სავსებით ვიწონებ ჩემი კოლეგის კაპიტან ლევის მოქმედებას და მეც უარს ვამბობ ვიეტნამელთა მომავალი მკვლელების წვრთნაზეო.

ინდოეთი

ბანგლადეშელ ბანდიტთა ბანდა

ბანგლადეში, 15 მაისი. (საკდესი). ბანგლადეშელ ბანდიტთა ბანდა, ბანდიტ ბაბუ ბეგის ხელმძღვანელობით, ინდოეთ-ბანგლადეშის ფარგლებში ინდოეთის ტერიტორიაზე ბანდიტურ ბრძოლებს ეწეოდა. ბანდიტ ბაბუ ბეგის ბანდა

ჩვენს არე-მარეში



მკითხველთა კონფერენცია

ამას წინათ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა უურნალ „სკოლა და ცხოვრებისა“ და მის ყოველკვარტალურ კრებულ-დამატებათა სახით ახლახან შექმნილი პედაგოგიურ-მეთოდიური ბეჭდვითი ორგანოების მკითხველთა კონფერენცია.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორ გ. ხარაულის შესავალი სიტყვის შემდეგ ქართული პედაგოგიური უურნალისა და მის რედაქციასთან არსებული საგნობრივი უურნალების სადღეისო ამოცანებზე ილაპარაკა უურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორმა გ. საჯაიამ.

კონფერენციის მონაწილეებმა, გორის პედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ქალაქის სკოლის პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს რა ქართული პედაგოგიური პრესის უდიდეს მნიშვნელობას, მთელი რიგი საგულისხმო შენიშვნები, წინადადებანი და სურვილები გამოთქვეს ამ უურნალების შემდგომი სრულყოფისა-თვის.

ქართული მუსიკა იაროსლავლში

ქართული მუსიკა არაერთხელ აჟღერებულა მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და ბაქოში, ერევანსა და ბალტიისპირეთის ქალაქებში. ეს კარგი ტრადიცია დღითიდღე მტკიცდება და გრძელდება.

ამ დღეებში ქ. იაროსლავლში ეწყობა ქართული მუსიკის დღეები. ამ საინტერესო ღონისძიებასთან დაკავშირებით იაროსლავლის საოლქო გაზეთმა დაბეჭდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის **ა. მაჭავარიანის** წერილი სათაურით: „დაე ჰყვაოდეს ჩვენი მეგობრობა“. ავტორი ამ სტატიით აცხობს იაროსლავლის მშრომელებს ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას და ქართული საბჭოთა მუსიკის მიღწევებს.

იაროსლავლელი მშრომელები მოისმენენ ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ ნაწყვეტებს და საციოლინო კონცერტს, ო. თაქთაქიშვილის № 2 კონცერტ-სიმფონიას, დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის“ ნაწყვეტებს, შ. მშველიძის „მზის ამოსვლას“, რ. ლაღიძის „საჭიდაოს“, ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტს, ო. გორდელის „ქართულ ცეკვას“, გ. ყანჩელის „ლარგო და ალეგროს“, ბ. კვერნაძის „ცეკვა-ფანტაზიას“, ვ. გოკიელის „მზის ამოსვლას“ და სიმფონიურ სუიტას „ორთაჭალის ბაღებში“.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის გამოჩენილი შემსრულებლები: მ. იაშვილი, ბ. კოპეიშვილი, ო. კუზნეცოვი, ჯ. ბალანჩივაძე, რ. ხოჯავა და ვოკალური კვარტეტი მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით.

იაროსლავლში გაემგზავრა ქართველ მუსიკოსთა დიდი ჯგუფი რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. თორაძის ხელმძღვანელობით.

ქართული მუსიკის დღეები იაროსლავლში პირველად ეწყობა.

ლ. როსებაშვილი.

გაიხსნა საბავშვო წიგნის სახლი

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს რესპუბლიკის ნორჩმა წიგნის მოყვარულებმა. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაიხსნა საბავშვო წიგნის სახლი, რომელიც მესამეა ჩვენს ქვეყანაში.

საბავშვო წიგნის გახსნისადმი მიძღვნილ საღამოზე მოვიდნენ მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები, გამომცემლობათა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორმა მწერალმა კ. ლორთქიფანიძემ.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ამ სასიხარულო მოვლენის გამო შეკრებილთ მიესალმნენ საბავშვო წიგნის სახლის დირექტორი მ. ჯახრაკია, მოსკოვის უურნალ „დეტსკაია ლიტერატურას“ თანამშრომელი ვ. ბავინა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გ. ახვლედიანი და ნ. კეცხოველი, უურნალ „ დილას“ რედაქტორი პოეტი ჯ. ჩარკვიანი, პოეტი მ. მრევლიშვილი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ბ. კიზირია, ნინო ნაკაშიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე ჯ. მოწონელიძე, პროფესორი ვ. ზამბახიძე, 60-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. ოქროპირიძე.

სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენები „შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავი“, „საბავშვო წიგნის გრაფიკა“, „გიორგი კაჭახიძის დაბადების 60 წლისთავი“, „გამომცემლობა „ნაკადულის“ 1966 წლის წიგნები“, აგრეთვე საბავშვო სახლის გვერდით გახსნილი საბავშვო წიგნის საფირმო მაღაზია „ნაკადული“.

საღამოს დასასრულ ბავშვებმა წარმოადგინეს სცენები ქართული საბავშვო ლიტერატურის ნაწარმოებთა მიხედვით. (საქდესი).

საბჭოთა ბერძნული ტრაგედია

თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ ბერძნული ესტრადის მსახიობები. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მათ უკვე წარმატებით გამართეს ორი კონცერტი. ბერძნული ესტრადა თბილისელებმა ჯერ კიდევ ადრე იოანანას წარმტაცი სიმღერებით გაიცნეს. მას აქვთ ინტერესი ბერძნული საესტრადო ხელოვნებისადმი ჩვენში დიდად გაიზარდა.

ფარდის გახსნისთანავე მსახიობებსა და მაყურებლს შორის თბილი ურთიერთობა დამყარდა. კონცერტი ტრადიციული მსვლელობით არ ორის გადაწყვეტილი. სცენაზე უბრალო ბერძნული ტავერნაა, მაგიდებთან სხედან მსახიობები, ოღნავ უფრო ღრმად, მცირე შემაღლებაზე დგანან ვოკალურ-ინსტრუმენტალი ანსამბლის წევრები პეტროს ჯენარაკისი, სავას სტერისი, ელეფტერიოს ჯიორდამისი, ჟან ტუხანი და აპოსტოლოს ხუსიასი. ისინი ხუთნი არიან და ანსამბლს ასევე ჰქვია „ხუთი ბერძენი“.

ესტრადაზე კიდევ ერთი ანსამბლია — მოცეკვავეთა ჯგუფი.

ბერძნული სიმღერის მრავალფეროვნება, სინაზე, სევდა და ცეცხლოვანი ტემპერამენტი ხიბლავს მსმენელს.

მაგრამ ყველაზე დიდი მოწონებით მიიღო მომღერალი ქალი **ფრანჩესკა იაკოვიდუ** სარგებლობს. ბერძნული სიმღერები მისი შესრულებით ელადის ქვეყნის განუმეორებელი კოლორიტით არის სავსე. კარგია აგრეთვე რამდენიმე სიმღერა განთქმული ფრანგი მომღერლის ედიტ პიაფის რეპერტუარიდან.

გვიანი ღამეა და ტავერნა სინათლეს აქრობს, სტუმრები ტოვებენ ამ ადგილს. ასე მთავრდება კონცერტი, რომელიც ხიბლავს მაყურებელს უშუალობით, მხიარულებითა და მუსიკალობით.

* * *

სურათებზე: ზემოთ მღერის ფრანჩესკა იაკოვიდუ. ქვემოთ ესტრადაზეა მოცეკვავეთა ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

როგორ მოეწყობა ვაჭრობა

ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადასვლა

თბილისის ცენტრალური უნივერსალური მაღაზია. აქ ყოველთვის ბევრი ხალხია. დადიხართ მაღაზიის ფართო შენობაში და რა სახის საქონელს არ ნახავთ ლამაზად გაფორმებულ ვიტრინებსა და დახლებში. აგერ მოხდენილი ტანის ქალიშვილი რვეულს ჩაჰკერკეტებს, თან თვალი მომხმარებლისაკენ უჭირავს. როგორც კი დახლს ვინმე მიუახლოვდება, ის რვეულს გვერდით გადადებს და თავაზიანად სთავაზობს საქონელს.

ქალიშვილი საგამოცდო სესიისთვის ემზადება.

— რაო, ნუნუ, მალე გაქვს ჩათვლები? გამოსძახა ქალიშვილს მობრძანებიერე დახლთან მდგომმა, — ორი დასვენების დღე რომ გექნება, მაშინ უფრო გაგიადვილდება სწავლა.

— თქვენთვისაც კარგი იქნება, დეიდა მარო, — უპასუხა ქალიშვილმა, — ორი დღე ოჯახში დატრიალდებით, ქმარ-შვილს მიხედავთ. ეს ხომ დიდი შეღავათია.

უნივერსალური მაღაზიის ფართო კოლექტივში 90-ზე მეტ კაცს აქვს უმაღლესი განათლება. 80 თანამშრომელი სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებლად სწავლობს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელში.

სულ მალე, როგორც სხვა საწარმო-დაწესებულებების მუშამოსამსახურეები, ვაჭრობის მუშაკთა დიდი კოლექტივიც გადავა ორდასვენებისდღიან კვირაზე.

როგორ განხორციელდება შრომის განაწილების ეს მეტად მოხერხებული ღონისძიება? აი რა გვაცნობეს ამის შესახებ უნივერსალური მაღაზიის დირექციაში.

როგორც წესი, მაღაზია ჩვეულებრივად დაკეტილი იქნება კვირადღეს. დანარჩენ ექვს დღეს კი, შაბათის ჩათვლით, იგი ღია იქნება. მაღაზიის მუშაკთაგან ორ დასვენების დღეზე გადაყვანა განხორციელდება რიგრიგობით, სპეციალური შინა გრაფიკის მიხედვით. აქ ხომ ერთი და იგივე საქმლის რამდენიმე სექციაა. ამ სექციებიდან ზოგი დაისვენებს შაბათს და კვირას, ზოგი კვირასა და ორშაბათს. მომხმარებლისათვის ეს შეუმჩნეველი იქნება. მაღაზიის მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის კი დიდად სასარგებლო.

ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადასვლა ფართო შესაძლებლობას აძლევს მაღაზიის მუშაკებს განახორციელონ თავიანთი დასვენება უფრო შინაარსიანად, ხალისიანად. ხშირად მოაწყონ ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, განავითარონ თვითმოქმედება.

უახლოეს ხანს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტზე — შოვში დამთავრდება ორსართულიანი 40-ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა, სადაც დაისვენებენ და ჯანმრთელობას აღიდგენენ უნივერსალური მაღაზიის თანამშრომლები.

პანსიონატი შენდება მაღაზიის საკუთარი ზეგეგმითი დანაზოგი სახსრებით, რომლებიც აქ შეიქმნა 1965-1966 წლიან. გასულ წელს მაღაზიამ ვაჭრობის გეგმა შეასრულა 101,4 პროცენტით და გეგმას 540.000 მანეთით გადააჭარბა.

ამ ზეგეგმითი მოგების 30 პროცენტიდან მაღაზიის დირექციამ თავისი თანამშრომლებისათვის გადაწყვიტა აეშენებინა პანსიონატი. ასეთი პანსიონატი განზრახულია აშენდეს შავი ზღვის სანაპიროზეც.

უნივერსალური მაღაზიის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ზეიმით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. კოლექტივმა იკისრა ათი თვის გეგმა 29 ოქტომბრისთვის შეასრულოს, წლიური გეგმა კი 30 დეკემბრისთვის.

საიუბილეო წელს კიდევ უფრო ფართოდ ეწყობა მომხმარებლთა კონფერენციები. სადაც ვაჭრობის მუშაკები სწავლობენ ჩვენი მოსახლეობის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. მომხმარებელთა კონფერენციებზე შესწავლილ მასალებს საქონელმცოდნეები გადასცემენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ახლახან შექმნილ მომხმარებელთა მოთხოვნილების შემსწავლელ საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალს.

ამავე დროს უფრო გაჩაღდა შეჯიბრება როგორც ბაქოს, ერევნის, რიგის უნივერსალური მაღაზიების კოლექტივებთან, რომლებთანაც უნივერსალურ მაღაზიას დადებული აქვს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი, ისე თვით მაღაზიის მუშაკებს შორის. შეჯიბრების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი კი ითვალისწინებს მოეწყოს ვაჭრობა ისე, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს.

ლ. ხუბულური.

სურათზე: თბილისის ცენტრალური უნივერმაღის შენობა.

ჩვენი პლანეტის ამინდი

ივლისის სიცხე მაისში

დიდი სითბო დადგა რუსეთის ცენტრალურ ოლქებში, შუა და ქვემო ვოლგაზე, უკრაინის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში: 25,30, 32 გრადუსი. მოსკოვის, რიაზანის, ტულის ოლქებში ეს 10 გრადუსით მაღალია ჩვეულებრივ ტემპერატურაზე. მოსკოვში მაისის პირველ ნახევარში ასეთი სიცხე თითქმის ასი წელია არ ყოფილა.

წვიმებს მოელიან ვოლგისპირეთში, იმიერვოლგის მხარეში, სტავროპოლისა და როსტოვის ოლქებში. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე გრილი დღეები დადგა, წვიმა ცრის, ტემპერატურა დაახლოებით 20 გრადუსია. უკრაინის დასავლეთში, ბელორუსიაში ხან დღისით, ხან ღამით წვიმდა, ელჭექი გრუხუნებდა. ბალტიისპირეთსა და ლენინგრადის ოლქში გრილა — 10-15 გრადუსია.

ციმბირის ჩრდილოეთში — ტაიმირზე, ენისეის, ლენის ქვემო დინებაში იშვიათი როდია ქარბუქი და ყინვები. მერყეევი გახდა ამინდი ციმბირის სამხრეთში — ომსკის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკის ოლქებში.

შუა აზიაში სიცხე მოსკოვისას არ აღემატება — 28 გრადუსია. უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის მთისწინებსა და მთებში, აგრეთვე ალმა-ატის ოლქში ძლიერი წვიმები იყო.

უახლოეს დღეებში ბალტიისპირეთში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ, დღისით 18-18 გრადუსი. აგრილდება — 15-20 გრადუსი იქნება რუსეთის ცენტრში, სადაც წვიმები, ადგილ-ადგილ ელჭეჭი და გრიგალისებრი ქარები გადაივლის. ცენტრალური რაიონის აღმოსავლეთში, შუა და ქვემო ვოლგაზე კვლავ სიმშრალე და სიცხე იქნება.

უკრაინის დასავლეთში კვლავ იწვიმებს, ხოლო როსტოვის ოლქსა და კრასნოდარის მხარეში შესაძლოა ხანმოკლე წვიმები. დასავლეთ ციმბირის სამხრეთსა და უაზბეთის ჩრდილოეთში ადგილ-ადგილ მცირე წვიმებს მოელიან, დღისით—პლუს 10-15 გრადუსი იქნება.

თბილისა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. საფრანგეთში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში 20-25 გრადუსია. ნორვეგიასა და შვეციაში გრილა, ხშირად წვიმს, გრუხუნებს ელჭეჭი. ელჭექმა გადაუარა ბრიტანეთის კუნძულებსა და ესპანეთს, აგრეთვე მაროკოს.

კოკისპირული წვიმები და ელჭექი არ წყდება სირიაში. წვიმების შემდეგ მდინარე ევფრატი ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალი შეიჭრა დასახლებულ პუნქტებში, დატბორა ნათესები. ინდოეთში ძალიან ცხელა, 43 გრადუსია. ცხელა სუდანში, ნიგერიაში, ჩადის რესპუბლიკაში, მექსიკაში. მოღრუბლულია, წვიმს და გრილა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში — დაახლოებით 15 გრადუსია. კანადის ჩრდილოეთში თოვს.

გრეტა მიხაილოვა.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრის მთავარი სინოპტიკოსი.

ახალი ამბების სააგენტო.

მნიშვნელოვანი გეოლოგიური ნაპოვნი

გარკვეულია ახალი გუგურტლინის სადაფის ბუნებრივი გაზის მარაგი. ეს სადაფ აღმოაჩინეს ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქმენეთში, ამ მიწისქვეშა საცავში ინახება 80 მილიარდი კუბური მეტრი საბობრი. სადაფის დამუშავება დაიწყება 1968 წელს. აქედან მაგისტრალური მილსადენებით გაზს მიიღებს შუა აზია ცენტრი. (საკდესის კორ.).

კიდევ ერთი გიძგი

ტაშკენტი, 15 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს ტაშკენტელებმა იგრძნეს ხუთი-ექვი ბალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგი, რომელიც ადგილობრივმა სეისმურმა სადგურმა აღნიშნა 22 საათსა და 43 წუთზე ტაშკენტის დროით.

ტიატრები

17 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო — მინდია (II მოქ. II სურ.), ტოსკა (III მოქმ.), ამბასლომ და ეთერი (IV მოქმ., I სურ.) **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთაწმინდის მთვარე, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი შეშლილი ძმა (პრემიერა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძია ელიოზი (№ 27 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

17 მაისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სატელევიზიო სტუდიების ფესტივალი (გადმოცემა ბაქოდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს — 17 ს. 45 წ.

18 მაისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.40 — ბალეტი „ბაბარა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა ოსწავლეთათვის — „ფოტომონადირე“, 18.20 — გადაცემა — „ვიბრძოლოთ ეროზიას“, 18.55 — კონცერტი — ახალი ქართული რომანსები, 19.15 — დიადი თარიღის შესახვედრად — „საქართველოს მედიცინის მუშაკები ოქტომბერს“, 19.55 — მხატვრული პროგრამა. შესვენების დროს ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

ჩა ვიცოდეთ, ჩა ვოვიდეთ

ვიქტორინა

„ჩემი სამშობლოს 50 წელი“

მოგზაურობა 15 მოკავშირე რესპუბლიკაში

Труд

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ თხუთმეტ მოკავშირე რესპუბლიკაში მათი დაუსწრებელი მოგზაურობის მეექვსე მარშრუტს.

ვიქტორინის პირველი ტური მიეძღვნა ბელორუსიას, მეორე — ყირგიზეთს, მესამე — ლატვიას, მეოთხე — აზერბაიჯანს, მეხუთე — უზბეკეთს (ამასთან გაგახსენებთ: ვადა პასუხის გაგზავნისა უზბეკეთის შესახებ კითხვებზე, რომლებიც 29 აპრილს გამოქვეყნდა, 20 მაისს გადის).

ვიქტორინის ახალ მონაწილეთათვის ვიმეორებთ: მთავარ პრიზს — დიდეკრანიან ტელევიზორს „რუბინ-106“-ს — მიიღებს ის, ვინც მთელი ვიქტორინის შედეგების მიხედვით ყველაზე მეტ ქულას შეაგროვებს. ამასთან თვითეულ ტურში გამარჯვებული, რომელიც ათსავე კითხვაზე უნაკლოდ ზუსტ პასუხს გასცემს, მიიღებს თხუთმეტი შუალედი პრიზიდან ერთს: კინოკამერას, ფოტოაპარატს, მაგნეტოფონს, ტრანზისტორულ რადიომიმღებს, ელექტროფირსაკრავს... გამარჯვებულთა გვარები გამოქვეყნდება თხუთმეტივე რესპუბლიკის ვიქტორინის დამთავრების შემდეგ.

ვიქტორინის ყოური მკითხველებთან მიწერ-მოწერას არ აწარმოებს.

მაშ ასე, დღეს მეექვსე ტურია.

ათი კითხვა საქართველოს შესახებ

1. საქართველოში რომელ წელს

— მოეწყო პირველი პროფკავშირული გაზეთის „ახალი დროების“ გამოცემა,

— აშენდა გოელროს ლენინური გეგმით პირველი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მეორე იყო ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ,

— გამოშვება პირველი ფოლადი ომისშემდგომ წლებში შექმნილმა ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ,

— დაინერგა პირველად სსრ კავშირში ელექტრული წვეა ამიერკავკასიის რკინიგზაზე,

— გამოუშვეს ფილმი „წითელი ეშმაკუნები“? (2 ქულა).

2. დაასახელეთ, ვინ

— ითვლება თბილისის დამაარსებლად,

— გამოიყვანა „ქართული“ ჩაის პირველი სელექციური ჯიშები,

— შექმნა ბათუმის ბოტანიკური ბაღი,

— არის ავტორი შოთა რუსთაველის ძეგლისა საქართველოს დედაქალაქში,

— მიიღო ლენინური პრემია კინოში აქტიორული მუშაობისათვის (1 ქულა).

3. რა ქვემოჩამოთვლილი საწარმოებით არის განთქმული ქუთაისი, ფოთი, ზესტაფონი, მცხეთა, მიხა-ცხაკაია

— ფეროშენაადნობთა ქარხანა,

— საავტომობილო ქარხანა,

— მიწასაწოგ დანადგართა ქარხანა.

— ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა,

— ასანთის ქარხანა, სადაც ნედლეულია მურყნის (თხმელის) მერქანი? (2 ქულა).

4. დაასახელეთ, სასარგებლო წიაღისეულთა რა უდიდესი საბადოები მუშავდება ჭიათურის, წნელისის, ქისათიბის, გუმბრის და ცანის ახლოს. (2 ქულა).

5. რა იცით ჩვენი ქვეყნისათვის უნიკალურ

— საოცარი სილამაზის, უზარმაზარ, ამას წინათ აღმოჩენილ კარსტულ გამოქვაბულებზე,

— მაღალი ტემპერატურის მქონე რადიოაქტიური მინერალური წყლების წყაროებზე,

— ზღვის ნაპირზე მდგომ რელიქტურ ფიჭვებზე,

— ქალაქზე, სადაც ჰაერის უმაღლესი საშუალოწლიური ტემპერატურაა,

— მაიმუნსაშენზე? (4 ქულა).

6. რესპუბლიკაში სად არის

— ცნობილი ასტროფიზიკური ობსერვატორია,

— მეჩაიეობის უდიდესი საბჭოთა მეურნეობა,

— ორაგულის ხელოვნურად მოშენების ადგილი,

— დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

— ჩვენი ქვეყნის „ნალექების პოლუსი“? (2 ქულა).

7. დაასახელეთ ბორჯომსა და ბაკურიანს შუა მდებარე სულ ცოტა ხუთი კურორტი და აღნიშნეთ მათი თავისებურება. (1 ქულა).

8. რა თვისებებით გაითქვა მსოფლიოში სახელი ქართულმა რუხმა ფუტკარმა და ექსპორტის ობიექტი გახდა? (2 ქულა).

9. გვიამბეთ, რა არის ღვინოების დაყენების კახური წესი. (2 ქულა).

10. დაასახელეთ ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც მთელი თავისი სპორტული პრაქტიკის მანძილზე არცერთი შენიშვნა არ მიუღია ფეხბურთის მოედანზე? (1 ქულა).

ვთხოვთ ვიქტორინის მონაწილეებს: კონვერტებზე მისამართის შემდეგ — მოსკოვი, ცენტრი, გორკის, ქ., 18-ბ. გაზეთი „ტრუდი“ — აუცილებლად აღნიშნეთ: პასუხი ვიქტორინაზე. და ზუსტად დაწერეთ თქვენი ბინის მისამართი. დღევანდელი, მეექვსე ტურის კითხვებზე პასუხის გამოგზავნის ვადაა არაუგვიანეს 5 ივნისისა (თარიღის გარკვევა იწარმოებს საფოსტო შტემპელის მიხედვით).

ქ. ქარციევაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, პერსონალური პენსიონერი **კონსტანტინე ანტონისძე ქარციევაძე.**

ქ. ქარციევაძე დაიბადა 1878 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შრომაში. 1896 წელს დამთავრა საგურამოს წინამძღვრიშვილის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ოდესის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომელიც 1900 წელს დაამთავრა და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმის ბოტანიკურ ბაღში აგრონომ-დეკორატორად.

1914-1922 წლებში მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. 1923 წლიდან 1960 წლამდე ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად მუშაობდა. შემდეგ კი პენსიაზე გავიდა.

ქ. ქარციევაძე იყო სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საქმის ღრმა მცოდნე, ენერგიული, ინიციატიანი ადამიანი. ხუთი ათეული წლის განმავლობაში დაუღალავი და ენერგიული შრომის შედეგად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით. მრავალჯერ იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

გამოცდილმა აგრონომმა თავისი უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობით აღზარდა სოფლის მეურნეობის ათობით ახალგაზრდა სპეციალისტი.

ღრმა მოხუცობის მიუხედავად, პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ წყვეტია კავშირს სოფლის მეურნეობასთან, იყო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრი და რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

ოვაწლმოსილი და თვალსაჩინო სპეციალისტის, სპეტაკი და გულისხმიერი ადამიანის ნათელი ხსოვნა ოიდახანს დარჩება მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ევროპელთა სამსახური

დღითიდღე უმჯობესდება ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა კულტურული მომსახურება. ამას წინათ კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს კოლმეურნეებმა: სოფლის ცენტრში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი.

ჯ. ხორავა.

ორი ფინალის მოლოდინში

ევროპის ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ტურნირი — ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშება — დასასრულს მიუახლოვდა.

უდიდეს ინტერესს იწვევს 25 მაისის მატჩი ლისაბონში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან მილანის „ინტერი“ და გლასგოს „სელტიკი“. ამ გუნდების გზა ფინალისაკენ ერთნაირი როდი ყოფილა.

ფინალური მატჩის წინ სპორტული მიმომხილველები ერთგვარ უპირატესობას იტალიელებს ანიჭებენ. მათ უკვე ორჯერ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონთა თასი და საერთო სპორტული რეპუტაცია უდავოდ უკეთესი აქვთ, ვიდრე „სელტიკს“.

„ინტერის“ მწვრთნელის ერერას დამსახურებად ითვლება ოსტატთა მთელი პლეადის აღზრდა და დაწინაურება. ახლანდელი შემადგენლობიდან მისი უშუალო მოწაფეები არიან — ბურგნიჩი, ფაჩეტი, გუარნიერი, ბედინი, ლანდინი, მაცოლა, კაპელინი, ესპანელი სუარესი.

„სელტიკის“ მწვრთნელი ჯიმ სტანი „ინტერს“ უაღრესად სახიფათო მეტოქედ თვლის, მაგრამ მაინც არ მაჯავს, რომ გამარჯვების იმედი აქვს.

31 მაისს ასეთივე მიზანი აქვს გლასგოს მეორე გუნდს „ულასგო რეინჯერსსაც“, რომელიც ნიურნბერგში თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში ხვდება მიუნხენის „ბავარიას“. ამ უკანასკნელს ფინალში ძირითადად თავის „ვარსკვლავების“ ბეკენბაუერისა და მიულერის იმედი აქვს.

სპარტაკიადის გახსნამდე

საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ზოგ სახეში შეჯიბრება ჯერ კიდევ სპარტაკიადის გახსნამდე დაიწყო: აფროსონობს მოკრიჭეთა ასპარეზობა მოპაყვა, რომელიც ბუშინ თბილისის ცირკის შენობაში გაიმართა.

უმჩატეს წონაში მ. გერია (სოხუმი) დამარცხდა ქუთაისელ **ვ. სულაკაძესთან.** მჩატე წონის მოკრიჭეებმა თბილისელმა **ნ. ჭიკავამ** და სოხუმელმა **ხ. ანტონიდემ** შესაბამისად მოუგეს ლ. შომინს (ბათუმი) და ე. ბაგანდოვს (ფოთი).

შეჯიბრება გრძელდება.

მოზრდილი ჭალენდარს ცვლის

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა 29-ე ჩემპიონატის ჭალენდარში ცვლილებანი მოხდა. მეთერთმეტე ტურის შეხვედრები გაიმართება არა 29 მაისს, როგორც ეს ჭალენდარით იყო გათვალისწინებული, არამედ ერთი დღით ადრე.

საქმე ის არის, რომ გუნდების მთელი რიგი მოთამაშენი, რომლებიც სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში შედიან (მწვრთნელი ბ. კაბალიანი) 30 მაისს მონრეალში გაფრინდებიან, სადაც მოეწყობა საერთაშორისო ტურნირი. (საკდესი).

ტურნირი ტალინში

ტალინში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ჭალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. მონაწილეობენ ესტონეთის, ლატვიის, ლენინგრადის, საქართველოს, ჰელსინკისა და ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა ნაკრები გუნდები.

პირველ დღეს საქართველოს გუნდი შეხვდა ლენინგრადელ ჭალათბურთელებს და გაიმარჯვა 57:53. ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს ლატვიის გუნდი 94:77, ესტონელებმა — ჰელსინკის ნაკრები 74:52.

„ფლამენგოს“ ტურნე საბჭოთა კავშირში

უახლოეს დღეებში საბჭოთა კავშირს ეწვევა ბრაზილიის ფეხბურთელთა ცნობილი საკლუბო გუნდი „ფლამენგო“. ნავარაუდევია ბრაზილიელთა გამოსვლა თბილისშიც. თუ ჩვენს დინამოელებს საზზვარგარეთ არ მოუწევთ გამგზავრება, მაშინ თბილისის „დინამოსა“ და „ფლამენგოს“ მატჩი თბილისში შედგება 31 მაისს.

„ავტომატიკის“ სტადიონზე

მომავალი წლის საფეხბურთო სეზონის ერთ-ერთ საინტერესო შეჯიბრებად უნდა ვალიაროთ მონრეალის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ექსპო-67“. ეს შეჯიბრება მოეწყობა „ავტომატიკის“ სტადიონზე 31 მაისიდან 11 ივნისამდე.

ტურნირში ერთმანეთს შეეჯიბრება ექვსი კოლექტივი. აი ეს გუნდები — ინგლისის ნაკრები, ავსტრიიდან — ვენის პირველი გუნდი, მექსიკიდან— ლეონის ფეხბურთის კლუბი, საბჭოთა კავშირიდან — მოსკოვის ნაკრები, ბელგიიდან — ლიეჟის სამეფო კლუბის გუნდი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან — დორტმუნდის საკლუბო გუნდი „ბორუსია“.

მეტოქეები გაყოფილი არიან ორ ჯგუფად. იმ ჯგუფში, სადაც მოსკოვის გუნდი შედის, არიან, აგრეთვე ბელგიის ლიეჟის სამეფო კლუბის გუნდი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დორტმუნდის „ბორუსია“.

სპორტული ქრონიკა

□ **გუშინ** რომში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა სსრ კავშირის მოკრიჭეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან **ო. გრიგორიევი, ს. სტეპაშკინი, ვლ. ბარანიკოვი, ვ. აგეევი, რ. ტამულისი, დ. პოზნიაკი, ა. კისელი